

# სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

0167 თბილისი, გლდანის რ-ნი, "ა" მ/რ, ტელ. (995 32) 265-29-80

e-mail: Tbilisi136@mes.gov.ge. [www.136skola.ge](http://www.136skola.ge)

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა აცხადებს პირველკლასელთა რეგისტრაციას 2018-2019 სასწავლო წლისათვის.

რეგისტრაცია განხორციელდება 3 ეტაპად.

I ეტაპი - 2018 წლის 10 აპრილიდან - 27 აპრილის ჩათვლით - რეგისტრირდებიან მხოლოდ ის ბავშვები:

- რომლის და-მამაც სწავლობს ამ სკოლაში;
- რომლის მშობელიც (დედა ან მამა) სკოლის თანამშრომელია;
- რომლის ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში;

მოსწავლეებს არეგისტრირებს სკოლა.

II ეტაპი - 2018 წლის 08 მაისიდან ამავე წლის 08 ივნისის ჩათვლით.

საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაცია განხორციელდება სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებგვერდზე ([www.emis.ge](http://www.emis.ge) <http://registration.emis.ge>).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში II ეტაპზე რეგისტრირებული მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების მიღება განხორციელდება 2018 წლის 11 ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

III ეტაპი - 2018 წლის 02 ივლისიდან 2018 წლის 16 ივლისის ჩათვლით, რეგისტრაცია განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლების) ბაზაზე II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილზე, მხოლოდ მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემდგომ.

შენიშვნა: რეგისტრაციას გაივლიან მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს (*რომელთაც 6 წელი შეუსრულდებათ 17 სექტემბერის ჩათვლით*).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2007 წლის 16 აგვისტოს ბრძანება №675 საფუძველზე, მშობელმა მოსწავლის პირველ კლასში ჩასარიცხად უნდა წარადგინოს, შემდეგი დოკუმენტები:

1. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე (ივსება ადგილზე);
2. დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
3. ორი ფოტო სურათი 3X4 (ფერადი);
4. ჯანმრთელობის ცნობა;
5. არასრულწლოვანი მოსწავლის რეგისტრაციის ბარათი - სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ან მისი ტერიტორიული სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქართველოს მოქალაქეობის, საქართველოში ბინადრობის ნებართვის ან ბინადრობის მოწმობის მქონე მოსწავლისათვის პირადი ნომრის მინიჭება ;
6. მშობელთა/მეურვის პირადობის მოწმობის ასლები;
7. მეურვის შემთხვევაში, მეურვეობის დამადასტურებელი ნოტარიული ასლი;
8. ლტოლვილის/სოციალურად დაუცველის მოწმობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
9. შშმ პირის შემთხვევაში ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

საბუთების მიღება იწარმოებს სკოლის კანცელარიაში 14<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე (შაბათ კვირის გარდა).

დირექცია